ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომა

ოქმი №1

ქ. ახმეტა

22 იანვარი, 2019 წელი

თავმჯდომარეობდა: თ.ყეინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა: რ. ბაღაკაშვილი. ბ.ჭიჭიკლიშვილი

ლ.ითიურიძე, ა.მექვევრიშვილი, ა.ბუღრიძე

დ.იმერლიშვილი, ა.შათირიშვილი

ნ.ალავიძე, თ.ბოდაველი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის

მოადგილეები: ვ.ნასყიდაშვილი, ზ.მიგრიაული

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის

უფროსი - მ.მაისურაძე

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰ საათზე.

სხდომის თავმჯდომარე თ.ყეინიშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. **ახმეტის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბერის #66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

/მომხსენებელი - არსენ ბუღრიძე/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> **ახმეტის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბერის #66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

მომხსენებელმა გააცნო დამსწრე წევრებს ინფორმაცია ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ. წარმოდგენილი ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 3065,2 ათასი ლარით. აქედან მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხებია 2359,5 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი 705,7 ათასი ლარი.

ცენტრალური ბიუჯეტიდან მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი 2359,5 ათასი ლარიდან 1913,6 ათასი ლარი არის გასული პერიოდის ,ხოლო 445,9 ათასი ლარი 2019 წელში განსახორციელებელი სამუშაოებისათვის, კერძოდ დუისი - წინუბნის დამაკავშირებელი გზის დარჩენილი მონაკვეთის რეაბილიტაციისათვის.

წინა წლებში განკარგულებით გამოყოფილი თანხები, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს 2019 წლის ბიუჯეტით,- შეადგენს 1913,6 ათას ლარს. მომხსენებელმა ისაუბრა ვალდებულებების და შესასრულებელი სამუშაოს შესახებ (განმარტებითი ბარათი თან ერთვის ოქმს).

ვ.ნასყიდაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 იანვრის განგარგულება #6, რომლის თანახმად, ახმეტის მუნიციპალიტეტს რეგიონში განსახორციელებელი ფონდიდან დაემატა 138,938,0 ლარი, ქ.ახმეტაში ოძელაშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოს შესრულებისათვის და ითხოვა ბიუჯეტში აისახოს აღნიშნული თანხა, რათა დროულად მიეცეს მსვლელობა პროექტის განხორციელებას.

ვ.ნასყიდაშვილმა უპასუხა შეკითხვებს.

ა. შათირიშვილმა შენიშვნა გააკეთა ა(ა)ი-პ-ების სახელფასო სარგოებთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ ხელფასები არის შერჩევით განსაზღვრული სხვადასხვა პიროვნებების მიმართ და უნდა მოხდეს მათი საერთო ჭრილში ფორმირება.

ვ. ნასყიდაშვილი: ხელფასის მატება ხდება კეთილმოწყობის და ტყე-პარკების სამსახურებში. მათ თანამშრომლებს ყოველდღიურად უწევთ გარეთ მუშაობა და სხვადასხვა სახის სამუშაოს შესრულება. ხელფასს ვუმატებთ აგრეთვე, საბავშვო-ბაღების პერსონალს, ბაღების ადმინისტრაციას და სამუსიკო სკოლის პედაგოგებს, რადგან მიზერული ხელფასები აქვთ.

თ. ბოდაველი: კარგი იქნება, შემოვიღოთ დასუფთავების გადასახადი.

ვ.ნასყიდაშვილმა უპასუხა, რომ საკითხი დასარეგულირებელია. შესაბამისი სააგენტო მუშაობს ტარიფების შემოღებაზე და ველოდებით გადაწყვეტილებას.

ბიურომ იმსჯელა და დაეთანხმა წინადადებას, მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა აისახოს ბიუჯეტში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, ბიუროს გადაწყვეტილების გათვალისწინებით, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

სხვა კითხვები და წინადადებები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომა დაიხურა 11^{50} საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **თ.ყეინიშვილი**